

112

# მხედრობა

ქართულ იუნკერთა კავშირის ორგანო.

---

1929 წ. ნოემბერი პარიზი.

---

## შინაარსი:

---

მეთაური - ჯაბუკი.  
ქართული მხედრობა - ა. კ.  
სამხედრო ხელოვნება აზიაში და ევროპაში (გაგრძელება) - ვ. ნალი  
ტაქტიკური ამოცანები - იამან  
არტილერია, ჩისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე  
ბრძოლაში - ლ. მ.  
იუნკერის მოგონებები. ზაგ-ჩეკა - ალ. ხ-ლი.  
სწოებები.

---

გამომცემლობა „საქართველო“-ს სტამბა ვალენტინი

ნოემბერი. 1929 წ.

მხედრობამ ჩვენს შემეცნებაში მიიღო სულ სხვანაირი განმარტება და მნიშვნელობა, ვინემ ეს იყო წინად, ჩვენი ერის ცხოვრებაში, რუსეთის ბატონობის დამყარებამდე. წინად შეიძლება ითქვას, მთელი ერი იყო მხედარი. მხედარი! — რა სიამაყით ატარებდნენ ამ სახელს და რა მოწიწებით და სასოებით ეპყრობოდნენ მხედრობას! მხედრობა მთელი ერი იყო და მხედრობაში მთელი ერი იღებდა მონაწილეობას; მხედრობა — ერი იყო რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდა მტერს მამულის და სარწმუნოების დასაცავად. და რა გასაკვირია ყოველი ომის შემდეგ, თუ ითხზებოდა ათასი სიმღერა — ლექსი გმირთა-მხედართა სადიდებლად? რამდენი ლეგენდა-ამბავი იქმნებოდა ყოველი ბრძოლის შემდეგ! ამ სიმღერებზე-ლექსებზე, ამბავ-ლეგენდებზედ იზრდებოდა შემდეგი თაობა, ისევ მებრძოლი და მოყვარული თავისი ერის და მამულის, როგორც იყვნენ მათი მამები.

ესლა კი სულ სხვაა. ჩვენს წამხდარ დროში მხედრობა არც ისე პატივცემულია.

ქართველი მხედრობა ძველი მხედრების მაგალითებზედ აღარ იზრდებოდა. რუსეთის „კორპუსებში“ და სამხედრო სკოლებში მათთანვე ვერ აღწევდა მათი ერის გმირთა ქება-დიდება. ქართულ მხედრობაში მამულიშვილური გრძნობას არავინ აღვივებდა. ერი-მხედრის მნიშვნელობა გაქრა საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად. ქართველი ერის შვილთ აღარ უთხზავდნენ გმირულ ლექს-სიმღერებს ომიდან დაბრუნებისას — ომი საქართველოს ინტერესებს მოკლებული იყო; ომში მიმავალს მამულიშვილური გრძნობები არ აღფრთოვანებდა, რადგან მას სხვა ერის, მისთვის სრულიად გაუგებარ, იდეებისათვის უნდა შეეწირა თავი...

ამით თუ აიხსნება ჩვენი ერის ყველა ფენების უალრესი გულგრილობა საერთოდ მხედრობისადმი. ეს გულგრილობა იქამდე მივიდა რომ, როდესაც საჭირო გახდა ქართული ჯარის შექმნა, ამ აუცილებლობამ ქართველობაში მხოლოდ აპატიური მხრების აშმუშვნა გამოიწვია. გაწყვეტილი იყო შემაერთებელი ძაფი მხედრობის და ერის შუა, ძალიან დაშორებული იყო ეს ჩვენი ხანა, საქართველოს ნამდვილი მხედრული წარსულიდან; ჩვენი ერის ისტორია კი ხომ თითქმის მხედრობა-ლავშრობაა...

მიწეზე ერის ასეთი შეცვლისა, მისი ბუნების სრულებით შეტრიალებისა, სხვა რა უნდა ყოფილიყო თუ არა ის უხეშში, უკულტურო ძალა— მოკავშირედ მოწვეული და ბატონად შეცვლილი, რომელსაც ჰქვიათ რუსეთი. რუსეთის მონობის ბრალაია რომ დღევანდელი ქართველი მხოლოდ აჩრდილია, ძველი ქართველისა.

ჩვენი წარსული, ეგრე მდიდარი გამოჩენილი მხედრობით და ჩვენი ერი, ეგრე შეუპოვარი მებრძოლი წარსულში, გვაიმედებენ, რომ მხედრობის სული არ ჩამკვდარა ქართველ ერში, რომ ის კიდევ იჩენს თავს. და იმ მომავლისთვის, იმ სანატრელ დროზე ვოცნებობთ, როდესაც ქართულ საზოგადოებაში, ქართველ ერში, მხედრობა— დაიკავებს თავის კუთვნილ და საპატიო ადგილს.

რუსეთის ბატონობამ შესცვალა სრულებით ჩვენი სული, სახე ჩვენი მხედრობისა, მისი ერისთვის მნიშვნელობის აწრი. ამ უხეშმა ძალამ ჩააქრო ჩვენ ერში შეგნება ძველი ქართველობისა. რუსეთის მონობამ მოგვცა ის, რომ ქართველი დედა აღარ უმღერდა თავის შვილს ნანასთან ერთად იმ ტკიბილ სიტყვებს, რომლებიც ამ პატარაებს აჩვენებდნენ მამულის სიყვარულს და მამულისათვის თავის შეწირვას, და რომლებისთვისაც არ იყო საჭირო, გაქვივრების უამს ერისადმი მათი მოვალეობის გახსენება. რუსეთის ბატონობამ ქართველებს ეს გრძობა მოუღუნა, მიუყუჩა. ჩვენი უდიდესი პოეტები და მწერლები, რას არ შვრებიან, რომ ერს გაღვიძებოდა, რომ ძველი გმირების, ძველი დედების, ძველი მამულიშვილობის ამღერებით, გამოეცოცხლებინათ მომავლადვი ძველი ერი...

საჭირო იყო დიდი გრიგალი, რომ ქართული სული გამოსულიყო ამ ლეტარგიული ძილიდან, ამ მოღუნებიდან, რომ სულ არ გამქრალიყო...

ავარდა ქერიშხალი, გამოფხიზლდა ერი და იწყო გამორკვევა. მიმოიხედა, გადაავლო თვალი ახლო წარსულს და დაინახა, და შეიგრძნო დიდი დანაშაული წარსულის და მომავალის წინაშე. დააპირა შეცდომების გამოსწორება და რა სუსტი აჯმოხნდა მისი ძალა, ენერჯია ამ მხრივ! ან მისგან მეტი იყო მოსალოდნელი ამდენი ხნის ძილის შემდეგ?! ჯერ კიდევ აჩნდა რუსეთის ბატონობის ნიშანი; ჯერ კიდევ ვერ განწმენდილიყო რუსული უწმინდური გავლენისაგან; ჯერ კიდევ ლმობიერი იყო იმ ერის მიმართ, რომელმაც წარყვნა მისი სული, მისი გონება, მისი გრძობები; ჯერ კიდევ ეს ლმობიერიბა არ გადაქცეულიყო იმ სიძულვილად, რომელიც აუტილებლად სჭირდებოდა, თუ კი მას ამ გავლენისაგან უნდოდა ეხსნა თავი.

რა მოკლე იყო ეს ბედნიერი გაღვიძების დრო! ისევ დაიკარგა ძლივს მოპოებული თავისუფლება-დამოუკიდებლობა. მხოლოდ სანუგეშებელი ის არის, რომ ამ დამოუკიდებლობასთან ერთად არ დაიკარგა ქართული მხედრობის მებრძოლი სული. წინააღმდეგ, ერთხელ გამორკვეული ერი



თან და თან იქლენთება ამ სულით, გრძნობით რომელიც აუცილებელი ატირებუტია დამოუკიდებელ არსებობისთვის, რომელიც თვალს უხელს ყველას სინამდვილეზე და ქართველი ერის არსებობაზე.

რამდენი შეეწირა ამ ახლად შთაბერილ სულისკვეთებას და რამდენი ახალი გმირი, ახალი მებრძოლი, შექმნა ამ სულმა! ერი გატაცხლ და, ამის ფაქტი მისი ბრძოლაა, მისი მსხვერპლი მამულიც სამსახურზე მიტანილი. სხვანაირად წარმოუდგენელია 1924 წელი! ერში რომ მისი სული არ ჩამდგარიყო, განა დასაშვებია ათასი და ათასი მსხვერპლი მისთვის შეწირული? და განა 1924 წელში მთელი ერი მხედარი არ გახდა!

მაშ, ტყუილი ყოფილა ჩვენს ირგვლივ მტრის ფერხული. მას განსვენებული ვგონივართ და არ კი იცის, ეს განსვენება კი არა, ფერისცვალებაა, უკეთ—სულისცვალებაა. ეს შეცვლილი სული იღებს ბრძოლას და იბრძვის...

ბრძოლა გრძელდება და ეჭვი დაუშვებელია—ბრძოლა ჩვენი, ქართული სულის, გამარჯვებით დამთავრდება. ეს უდავოა და ასეც იქნება უსათუოდ. სული, რომელსაც ორი ათასი წელთა სიგრძეზე არ დაუკარგავს თავისი ცხოველი ძალა და დღემდე კიდევ ჩვენშია; რამლის წყალობით შევძელით უნახავ და უთვალავ გაჭირვებათა და ქარტყილთაგან თავის დაღწევა—ის, ჩვენს ერში გაღვიძებული, ამ გამარჯვების საწინდარია.

ამ ქართული სულის მსხვედპლთ დღეს, მათ სამშობლოში, ვერ იხსენიებენ, ვერ უგალობებენ დიდებას მათ ხსოვნას. დღეს იქ ეს შეუძლებელია, აკრძალულია, შეუძლებელია აშკარად და ისე კი გულში, რამდენი ახალი შეეფიქრა მსხვერპლთა სახელს, ეს მტრისთვის შეუცნობია.

მაგრამ რა საწყენია, რა დაუშვებელია რომ უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველთ, რომელთაც თამამად, აშკარად შეუძლიანთ პატივი სცენ მამულიშვილური გრძნობებისთვის შეწირულ დიად გმირებს და—ვერ კი მოუხერხებიათ.

საჭირო იყო მათი გახსენება და ზეიმი.

ზეიმი მისთვის, რომ ერისთვის საზეიმოა და არა სატირალი ყოველი გმირის, უცნობი თუ ცნობილი, ამ ერისთვის თავდადებულის ხსოვნა...

საჭირო იყო მათი გახსენება იმ ახალგაზრდათვის და უცხოეთში წამოზრდილი მომავალ თაობისთვის, რომელთათვის სამაგალითო უნდა გახდეს მამულის სიყვარულისთვის თავის განწირვა—ასეთი გახსენება, ასეთი ცოცხალი მაგალითები, შველიან აღზრდას სულისას...

და საჭირო იყო მისთვის, რომ ეს უკანასკნელი გოდება-იმედი ერთ-ერთი თავდადებულისა:

თუმცა მოგვსპო მტერმა მოსისხლე მტერი,  
თუმცა ვერ მოივლის ჭირისუფალი ჩვენს საფლავზედა;  
მანინ ვამაყოფთ, ხსოვნა დარჩება ერთგულ მხედარზე  
ქუდსა მოიხდის მამულიშვილი ჩვენსა ხსოვნაზე“.

(გოგი ხიმშიაშვილი).

მართლაც აღსრულებულიყო.

ჯაბუკი.

## ქართული მხედრობა

დღიდან დასაბამისა, ქართველი ხალხი მუდამ განთქმული იყო თავისი მხედრული ნიჭით, შეუდარებელი გმირობით. ურისხვი მტრების მიერ გარშემორტყმული საქართველო მუდამ ბრძოლებში იყო გაბმული. ამ ბრძოლებში იხმაცებოდნენ ქართველი მამულიშვილები, მაგრამ ამავე ბრძოლებში იწრთვნებოდნენ ჩვენი საუკეთესო სარდლები. ქართველს „სალ ხელში გუთანი ეჭირა და მეორეში ხმალი“, ომის დროს „ქუდზე კაცი“ გამოდიოდა და თავად-აზნაურთა წინამძღოლობით ყველანი ბრძოლის ველისკენ მიეშურებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აზნაურებს განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული: სამხედრო საქმეთა ხელმძღვანელობა, ეს წოდება არ შეადგენდა განსაკუთრებულ „სამხედრო კასტას“, იმ სახით რა სახითაც ეს არსებობდა მე-19 საუკუნეში რუსეთში ან გერმანიაში. პირიქით, აზნაურობა ფრიად დაკავშირებული იყო ხალხთან, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროსაც. შეიძლება ითქვას, ეს ერთგვარი განაწილება იყო ეროვნულ მუშაობისა, რომელიც საშვალეობას აძლევდა, ერთის მხრივ გაწვრთნილი მხედრობის ყოლისას—მოულოდნელ თავდასხმის წინააღმდეგ, რაც ხშირი მოვლენა იყო, და მეორეს მხრივ, აზნაურთა მუდმივი მხედრული დარაჯობა, საშვალეობას აძლევდა ერის სხვა ნაწილს მშვიდობიანი მუშაობისას.

„ჯარი-ნაწია“, რომელიც ზოგიერთების აზრით ევროპაში მხოლოდ 1870 წლებში გაჩნდა (გენ. ლუდენდორფი ამბობს: საფრანგეთის მთელი ერი ებრძოდა პრუსიელებს), ჩვენში მუდამ არსებობდა და ომის დროს ერის ყოველ ელემენტს თავისი შესაფერი წვლილი შეჰქონდა სამშობლოს დაცვა-გამაგრების საქმეში. საქართველოს ბრძოლის ველის მაჯის ცემა იყო ამავე დროს მთელი ერის მაჯისცემა. ქართველი მხედარი ღრმად გრძნობდა, რომ მთელი ერი მის გვერდით იდგა და ვაი იმ მხედარს, რომელიც შინ დაბრუნდებოდა დამარცხებული. ჩვენ ჯარს მუდამ ახასიათებდა



ის ურთიერთის ღრმა ნდობა, რომელიც არსებობდა ქართველ სარდალსა და ჯარს შორის. ქართველი სარდალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი მხედრები მას სიკვდილამდე, თან მიყვებოდნენ; მეორეს მხრივ, მხედრებს კი შეურყეველი ნდობა ჰქონდათ თავიანთი სარდლის ცოდნა-გამოცდილებაში და მის ბოძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ. ამას თუ დაუმატებთ ორთავეს სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალ გრძნობას, დავინახავთ თუ რა მაღლა იდგა მორალური სიძლიერე ქართველ ჯარში, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველ მხედრობისთვის.

მე-18 საუკუნის დამლევს სპარსელებთან უკანასკნელი ბოძლის დროს, ქართველი სარდალი მიმართავს თავის ჯარს და მოუწოდებს შეუდრეკელი ბრძოლისკენ. მის ბრძოლის ძახილზე ქართველი ჯარი ერთხმად უპასუხებს:

„მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი  
ბატონ ირაკლის ცოცხალს ხედვიდეს“

(ნ. ბარათაშვილი)

ასეთი იყო ჩვენი მხედრული სიამაყე წარსულში. ასეთივე უნდა იქნეს ის მომავალში.

ღდიდან საქართველოში შემოსვლისა, ვერაგმა რუსეთმა ხელი მიყო საქართველოს ცოცხალი ძალების მოსპობას. ცხადია, პირველ-ღის ხალხის ხელმძღვანელი წრეების გაქრობა-გადაგვარებას შეუდგა. ამ მიზნით დაიწყო მან ჩვენი საუკეთესო მამულიშვილთა და ერის მეთაურთა რუსეთში გადასახლება. ქართველ მხედრებს და სარდლებს გზავნიდნენ რუსეთში, ახლოვებდნენ სასახლესთან, აძლევდნენ რუსულ პატივს, ღირსებებს, ჯილდოებს და ანიჭებდნენ ფუფუნებას, რომ ყველა ამით, რაც შეიძლება მალე, დაევიწყებინებიათ საქართველო და მისი ბრწყინვალე წარსული. ნაწილი ქართველ მამულიშვილთა ვერ შეუთრეგდა ამ ოჭროს გალიას და ბევრი მათგანი უცხოეთში გადაიხვეწა ან საპრობილეში დალიეს სული. ნაწილმა კი, ნებით თუ უნებლიეთ, რუსის სამსახურს მიჰყო ხელი.

აი, აქედან იწყება ჩვენი მხედრობის გადაგვარების პროცესი. მალე ქართველ მხედრების მცირე ჯგუფს მიემატა დიდი რიცხვი თავდა-აზნაურობისა, რომელიც წარსულში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვაში, ქართველი ხალხის ავანგარდი იყო, მხოლოდ როდესაც საქართველოში რუსეთი შემოვიდა და ქართული სახელმწიფო გააუქმა, უმოქმედოთ დარჩა და რუსეთის ჯარში სამსახურის გარდა სხვა გამოსავალი აღარა დარჩენიდა რა. მით უმეტეს, ერთის მხრივ მათ იქ სიხარულით ღებულობდნენ და მეორეს მხრივ, ეგონათ თითქოს, ამ გვარად ქართველი მხედრობა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც საქართველოს დაცვის საქმეს ემსახურებოდა.

მოსტყუილდნენ ქართველი მხედრები, ისე როგორც მოსტყუილდა მთელი ერი, რუსეთის მოიმედე.

რუსეთის ჯარში შესული ქართველი მხედარი რუსების სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა და, ცხადია, ხელმწიფის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სრულებით გარუსების გზაზე დაეყენებია ის. ამ მიზნით, გზავნიდენ ქართველ მხედრებს, ვითომდა წარჩინების მისაღებად, შორეულ ჩრდილოეთში და ამ გვარად, ამორებდენ მას ქართულ კულტურას. ბუნებით გმირები ქართველები, რასაკვირველია, თავს მალე იჩენდენ რუსეთის ჯარში. მაგრამ, მათი სამსახურის დაფასებისათვის საკმარისი არ იყო გმირობა, საჭირო იყო აგრეთვე მეორე პირობა: შეუდრეკელი ერდგულობა ყოველივე რუსულისადმი და დავიწყება ქართველობის. ის ქართველი მხედარი, რომელიც თავის გვარს „ოვ“-ათ დააბოლოვებდა, საიმედო პირად ითვლებოდა და წარჩინების ღირსიც ხდებოდა.

მიუხედავად ასეთი დიდი მუშაობისა და ცდისა, შეიძლება ითქვას, რომ რუსებმა მაინც ვერ შესძლეს ჩვენი მხედრობის პირველი თაობის სრულიად გადარუსება. ბევრი იყო ისეთი მხედარი, რომელიც, მიუხედავად რუსეთში სამსახურისა, ღრმა ქართველ პატრიოტად დარჩა ბოლომდე და სასოწარკვეთილი და იმედ-დაკარგული დასტიროდა წარსულ დიდებას...

თუ უფროსი თაობიდან ქართველი მხედრების გადაგვარება ძნელი საქმე გამოდგა, შემდეგ თაობათა გარუსება შედარებით ადვილი საქმე შეიქნა და აი რატომ: ჯერ ერთი რუსები მკვიდრ ნიადაგზე დამყარდენ ჩვენში და საერთოდ ქართველი ერის გარუსების საქმე წინ წაიწია და მეორეს მხრივ, ისე როგორც დღეს ამას რუსის ბლშევიკები სჩადიან, მაშინდელი მთავრობა სსდილობდა ბავშობიდანვე ჩაენერგა ქართველებისთვის გულში რუსული სული და რუსული იდეები. რუსეთში არსებულ ე. წ. კადეტთა კარპუსების ერთი მთავარი დანიშნულება სწორედ ეს იყო: რომ იმპერიაში შემავალ უცხო ერებთა შვილები გაერუსებიათ. ამ სასწავლებლებში ფართოდ ჰქონდათ გაღებული კარი ჩვენს თავად-აზნაურების შვილებს, ყოველგვარი შეღავათებით. ამ რუსის ბავშვთა ყაზარმაში შედიოდა შვიდი-რვა წლის ნორჩი ქართველი, სამშობლო ენაზე მოტიკტიკე და რამოდენიმე წლის შემდეგ იქედან გამოდიოდა რუსულად მობაასე და, უმეტეს შემთხვევაში, ქართულის სრულებით არ მსოდნე. მან კარგად იცოდა „კნიაზ იგორის“ და „ივან გროზნის“-ს ისტორია, მაგრამ წარმოდგინა არ ჰქონდა თუ ვინ იყო თამარ მეფე ან დავით აღმაშენებელი. ის ამაყობდა კულტურულ-სუვოროვების გმირობით, მხოლოდ დავიწყებოდა გიორგი სააკაძე, დიდი ერეკლე და სხვა ჩვენი ეროვნული საამაყო გმირები.

ასეთი გარუსებული მხედრის ოჯახიც რუსდებოდა და, ამ რიგად, ის ნაწილი ქართველი ერისა, რომელიც წარსულში საუკეთესო გამომხატველი იყო ჩვენი ეროვნული ძლიერებისა და სიამაყისა—თანდათან ჰქრებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართულ ეროვნულ აზ-

როვნების გაღვიძების ხანაშიც კი, ჩვენი მხედრობა ღრმა ძილს განავრძობდა (ეროვნული თვალსაზრისით) რუსეთის კალთაში და საჭირო იყო 1918 წლის სასწაულებრივი გადატრიალება, რომ ქართველ მხედრებს ეგრძნოთ, რომ თვითონ ქართველები იყვნენ. სამწუხაროდ, ისინი რუსული სულით და მსოფლ-მხედველობაზე აღზრდილნი, სუსტნი გამოდგნენ საქართველოს ეროვნული ჯარის შექმნის საქმეში.

ა. კ.

## სამხედრო ხელოვნება აზიაში და ევროპაში

(გაგრძელება) \*)

დავით აღმაშენებელი, მტრის ერთი ნაწილის დამარცხების შემდეგ, ზურგში მოექცა დანარჩენებს და ამისათვის არ მოერიდა საკუთარი ზურგის ღიად დატოვებას. ნაპოლეონმაც საუბხოვოდ იცოდა თავზარ-დამცემი გავლენა მოწინააღმდეგის ზურგში მოქცევისა და მუდამ ხმარობდა ამ ხერხს, მაგრამ საკუთარ ზურგს მუდამ მაგრად იცავდა. ყოველთვის რამოდენიმე საკომუნიკაციო გზა ჰქონდა და ერთ-ერთი მათგანი სრულიად უზრუნველყოფილი და მტკიცედ დასული ჰქონდა ხოლმე. თავის საკომუნიკაციო გზის ღიად დატოვება, გაბედა მხოლოდ ორჯერ: როდესაც თავის მიერ უკვე რამდენჯერმე დამარცხებულ ვურმზერის ჯარს, ბასანოს კომპანისის წარმოებისას, უკანიდან მოექცა, მაგრამ ეს ის ვურმზერის ჯარი იყო, რომელიც მან კასტილიონესთან, როვეროტოსთან და ტრიდენტთან ბრძოლებში მაგრად გაწეწა. ხოლო მეორედ, როდესაც მტრებს ზურგი გაუხსნა და მათ უკან მოექცა სენ-დენზირთან, ეს მას ტახტი დაუღდა და ფონტენებლოს სიმწარე განიცადა. ნაპოლეონი, როგორც ვხედავთ, ძლიერ ახლოს მივიდა დავით აღმაშენებლის მოქმედებათა სახესთან, რასაკვირველია, ევროპის დანარჩენ სარდლებთან შედარებით, მიუწვდომელ სიმაღლეზედა სდგას, მაგრამ რომ საკუთარი სატახტო ქალაქი და გზა მისკენ სრულიად ღიად დასტოვოს და მთელი თავისი ზურგიც—ევროპის სამხედრო ისტორია, ამის მაგალითს ვერ მოგვცემს, ვინაიდან სამხედრო ხელოვნების ეს სიმაღლე ჯერ მისთვის მიუწვდომელია. იყო ეს მეთერთმეტე საუკუნეში.

შემდეგი კომპანია დავითის იყო წარმოებული კლარჯეთში, თურქთა უდიდეს ლაშქრის წინააღმდეგ, რომელიც მოდიოდა მაკმადის წმიდა

\*) იხ. „მხედარი“ N 1.

დროშით საქართველოს თავაშვებულობის დასასჯელად და მის პოლიტიკურ მორჩილებაში ჩასაყენებლად. ამ ლაშქართან ომში დავითმა სულ სხვა გვარი ხერხი იხმარა. თავისი ჯარი გაჰყო ორ ნაწილად; ერთი ნაწილი პირადი ხელმძღვანელობით წაიყვანა კლარჯეთის მიმართულებით, მტრის დასახვედრად, ხოლო მეორე ნაწილი, ჟყონდიდის ერისთავის მეთაურობით, გაგზავნა შავშეთში, მტრის უკანიდან შემოასავლელად. ეს მოძრაობა ისე იქმნა მომზადებული და გამოანგარიშებული, რომ მტრისთვის სრულიად მოულოდნელად, ბრძოლა ერთს დღეში გათამაშდა და ორივე ქართულმა ნაწილმა, ერთს და იმავე დღეს, ერთს და იმავე ბრძოლის ველზედ, მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში. რასაკვირველია, ბრძოლა მტრისთვის კატასტროფით დამთავრდა და ქართველთა ნადავლში მკვამლის წმიდა დროშა მოჰყვა.


ამ კომპანიაში, შემდეგი მხარეებია აღსანიშნავი.

ესეთი შორეული შემოვლა, დროის ასეთი დაწვრილებით გამოანგარიშებით, დღევანდელ ტენიკის და მიუხედავად, თითქმის რომ დღესაც შეუძლებლათაა სწოებით. აქ საჭიროა სრული რწმენა, რომ ყოველივე დეტალი უტყუარად ანგარიშის მიხედვით იქნება შესრულებული; წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველ პატარა წვრილმანის შეცვლას, აუცილებელი კატასტროფა მოჰყვება. თვით უკანასკნელ დიდ ომში, მოკავშირეებმა ვერ მოახერხეს, მიუხედავად დიდი სდისა, გერმანელთა წინააღმდეგ ერთდროული შეტევის მოწყობა. რასაკვირველია ამის გასამართლებელი საბუთები აუარებელი მოეპოვებათ, მაგრამ თვით არსებობა ამ საბუთებისა და მათი გადამწყვეტი მნიშვნელობა, მოწმობს ამ სახელმწიფოთა მხედრულ ვარჯისობის დაბალ დონეს. დავით აღმაშენებელი ჰყოფს თავის ჯარს ორ ნაწილად და მტერს აძლევს საშუალებას, ამ ორად გაყოფილ ჯარის შუაში ჩადგომისას. ამ შუაში ჩაყენების მოქმედებით, ნაპოლეონმა თავზარი დასცა მთელ ევროპას, საიდანაც საითთაოდ ამარცხებდა მტრის ორივე ნაწილს თავისი ერთს ბლუჯში შეკრეფილ ძალებით. ეს იყო უმაღლესი წიკრილი ევროპის სამხედრო განვითარებისა, რომლის ზეგითაც მან დღემდის ვერ აიწია და ვერ მოახერხა ამ შუაში მოქცეულ მტრის გასრესა თავის ჯარის გაყოფილ ნაწილთა ერთდროული მოქმედებით. ლაშქრის გაყოფა მტრის სიახლოვეში უკვე თავის-თავად კატასტროფის პირველი აქტი იყო ხლმე. დავითი თავის ჯარს განხრახ ჰყოფს ორ ნაწილად. ესმის თუ არა მას მთელი საშიშროება ამ გადაწყვეტილების? რასაკვირველია უნდა საუბხოვოდ ესმოდეს: წინა კომპანიაში თითონვე უაღრესად გამოიყენა მტრის დანაწილება, ეკვეთა მის შუა ნაწილს და სალსაკე გაანადგურა. მაშ რათა ჰყოფს? დავითმა იცის, რომ დაშინებული მტერი უფრო მეტი ძალებით მოდის ვიდრე წარსულ კომპანიაში; როგორც მოქმედებიდან სჩანს დარწმუნებულაია, რომ მტერი გამოიყენებს წარსულ კომპანიის გამოცდილებას და თავის ჯარს აღარ გაყოფს რამოდენიმე ნაწილად. მაშასადამე, ძველი ხერხი აღარ ვარგა. აქ სულ სხვა გვარი

მოქმედება საჭირო. რასაკვირველია იცის, რომ მთელი მისი ძალები შეერთებულნი ერთს ბლუჯში, მტერზედ მაინც რამოდენიმეჯერ მე სუსტი იქნება. მაშასადამე, ის ვერც ერთს წამს ვერ წარმოიდგენდა თავის სუსტ ჯარის სალ-სალკე ძლიერ მტერთან შეხვედრას და არას შემთხვევაში არ შეუძლია ბრძოლის ისე გათამაშება, რომ მთელ მის ჯარმა არ მიიღოს მონაწილეობა. კი, მისი გეგმა სრულიად ეთანხმება ამ მოსაზრებებს: ჯარი მ. ბრძოლაში გაყოფილია, მაგრამ იბრძოლებს, ერთ ბრძოლის ველზედ და მათი სალ-სალკე მოქმედება ერთს მთლიან ბრძოლას შეჰქმნის ე. ი. შეერთდებიან ბრძოლის ველზედ. ძალთა რასობრივი განწყობილებით მაინც მტერზე სუსტი იქნება და ერთად-ერთი წარმართება ქართველებისა იქნება ზურგიდან შემოვლის თავზარ დამსემი შთაბეჭდილება. და აი, ამ გეგმის განსახორციელებლად დავითი უვლის მტერს და უვლის ძლიერ შორიდან. რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რომ მუდმივი კავშირი ამ ორ ნაწილთა შორის არ იარსებებს, უნდა იცოდეს, რომ თუ ეს მტრისთვის სრულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, იგი ადვილად მოსრესს სალ-სალკე ორთავე ნაწილს. არ გამარა დროის ერთ დღეში სიზუსტით შეთანხმება. მაშინდელი სიძლიერე იარადის, არ იძლევა დროის მოხაგებად ბრძოლის გახანგრძლივების საშუალებას, მთელი ბრძოლა ორ-სამ საათში თავდება, მაშასადამე, დრო რამოდენიმე საათის სიზუსტით უნდა იქმნეს შეთანხმებული და თუ ბრძოლა ერთდროულად არ დაიწყო, მეორე ნაწილი თითქმის რომ ვეღარ მოუხწრებს. თუ ყველა ეს სიძნელენი დაძლეულ იქმნენ, მაშინ მტერს პირდაპირ ტენიკურად ეკარგება თავის დაღწევის საშუალება და ჰყვება გრდემლს და ჩაქუჩის შუა. და თუ ეს ვერ მოხერხდა, თუ სულ უბრალო წვრილმანში დაუსხლტა ფეხი რომელიმე ნაწილს, თუ მტერმა რაიმე ეჭვი მიიტანა—ყველა ეს წვრილმანთაგანი უტყუარი მორბედი არის სასიკვდილო კატასტროფის.

ეს მოხერხდა და ეს მანევრი სრულის დაწვრილებით იქმნა შესრულებული, მიუხედავად ნაწილთა დაშორების დიდი მანძილისა, ჩვენი მთემის გაუფლელობისა და მაშინდელ კავშირის საშუალებათა სისუსტისა.

ვეჭიოთ ანალოგიური მოქმედებანი ევროპის საუკეთესო ხანაში. შუაში მდგომ მტრის მოსპობის სურვილს, ორათ გაყოფილ ჯარით, დავინახავთ ნაპოლეონის პირველ პროექტში, რომელიც მან წაუყენა რობესპიერს 1794 წ. საფრანგეთის ორი ლაშქარი ორ მხარედან ედგნენ სარდინიელებს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ნაპოლეონი თავის პროექტში ამტკიცებს, რომ მტერი შუაში სდგას და მუდამ შეუძლია მას ჯარის ჩქარი შეჯგუფება და ამუშავება, ვიდრე ამას მოახერხებს წრეზედ მდგომი ფრანგების ჯარი. ამისათვის მოითხოვს ფრანგების ორივე ლაშქრის ერთდროულ ამუშავებას კონცენტრიულ შეტევის წარმოებისთვის. ვხედავთ, რომ ეს არ არის წინდაწინვე განზრახული მანევრი და ამ მოსაზრებით განწყობა ჯარისა, არამედ ნაპოლეონს თავის პროექტში



■ ურანგუბის ქარი  
■ სარდინიეტო ქარი

სურს უკვე არსებულ მდგომარეობის გამოყენება. ეს მდგომარეობა მთელ ამ პროექტს უკვე თავის-თავად დაბლა სწევს, ვიდრე დავითის მოქმედებას, სადაც უკანასკნელი თავიდანვე გარკვეულ მიზნით ჰყოფს თავის ჯარს ორ ლაშქრად. გარდა ამისა თვით ნაპოლეონმა მალე აუქცია მხარი ამ გეგმას (ალბათ ეს შეუძლებლათ სწნა, რაც მაშინდელ ვითარების სიმალლეს საკმარისად ააშკარავებს) და შემდეგ პროექტში უკვე მარტო სამხრეთ ლაშქრის გაძლიერებას მოითხოვდა, საკმარისია ერთ ალაგას რიცხობლივ უპირატესობის მოპოვება. ეს გეგმა თავის-თავად უკვე დაბლა სდგას პირველ პროექტთან შედარებით. როგორც ვხედავთ, ნაპოლეონს კარგად ესმის შუაში დგომის უპირატესობა. მაგრამ ეშინია და ვერ ბედავს ამ შუაში მდგომ მტრის ორ სხვა და სხვა ნაწილით გასრესას. ეს მისთვის ჯერ მიუწვდომელია. ვერს ის და ვერს ევროპა ამ სიმალლემდე ვერ ავიდა თვით დღევანდელ დღემდე. დავით აღმაშენებლის და ნაპოლეონის სარდლის ღირსებათა შესადარებლად. საჭიროა მოვიგონოთ ერთი მაგალითი, რომელიც საუცხოვოდ ასურათებს ამ ორ პიროვნებათა დონეს განსხვავებას.

1813 წელს ბაუცენთან ბრძოლის დროს, ჩრდილოეთიდან ბრძოლის ველისკენ მოეშურებოდა მარშალი ნეი. ნაპოლეონი თავის მთავარ ძალებით ამზადებდა შეტევას მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთაზე და მის დასაწყებად ელოდა ნეის წინ წაწევას, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა კლიქს-პრაიტიცის მიმართულებით ევლო და დაეკავებინა ვურშენი



წინ არ იქმნენ შეერთებულნი მკიდრო კავშირით, ვეღარ ახერხებდნენ ერთ ბრძოლის ველზედ შეთანხმებულ მოქმედებას.

შუაში მდგომ მტრის, წინასწარ მიღებულ გეგმით, დამარცხების მაგალითს, ევროპის სამხედრო ისტორია მხოლოდ ორს იძლევა: ლაიპციგის და ვატერლოოს ბრძოლები. შევადაროთ ეს ორი ბრძოლა დავით აღმაშენებლის მოქმედებასთან, შუაში მდგომ მტრის წინააღმდეგ.

1813 წ. ნაპოლეონი მოწინააღმდეგეებზედ თითქმის სამჯერ სუსტი ძალებით სდგება მათ შუაში. მისი მიზანა გამოიყენოს საკსონიის მდინარეების ხშირი ქსელი და ალ-ალკე დაამ რცხოს ყოველი მათგანი. მოწინააღმდეგეების სამი ლაშქარი, რომელიც თითო ბრივ თითქმის რომ ეთანაბრებიან მის ძალას, ხოლო ზოგი აღმატება კიდევ, არტყია გარშემო: ჩრდილოეთიდან ბლიუხერი—პრუსების ლაშქარით, ჩრდილოაღმოსავლეთიდან ბერნადოტე—შვედების ლაშქარით, აღმოსავლეთიდან ბენიგსენი—რუსების ლაშქარით და სამხრეთიდან შვარცენბერგი—ავსტრიელების ლაშქარით. მხოლოდ ესეთ რიცხობრივ უპირატესობის შემდეგ გაბედეს კონცენტრიულად დაახლოვება ნაპოლეონის ლაშქართან. ნაპოლეონი ბრძოლას არ მოერიდა და მიიღო. სამი დღე გრძელდებოდა ბრძოლა; როცა კი სურდა შეძლო მას ბრძოლის თავიდან აცდენა; დაწყების შემდეგაც შეეძლო შეეწყვიტა ბრძოლა და დაეხია; თვით ბრძოლის წაგების შემდეგაც მისი ჯარი ვერ იქმნა მოსპობილი და სეცხლით და მახვილით გადაიარა აბობოქრებული გერმანეთი.

მეორე მაგალითს იძლევა ვატერლოოს ბრძოლა. ნაპოლეონმა უკუგდებულ პრუსიელების ჯარს, ერთი თავისი კორპუსი დაადენა და თვითონ ინგლისელების ჯარს ეკვეთა. ინგლისელების მთავარ-სარდალს ველინგტონს და პრუსიელების სარდალს ბლიუხერს წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდათ, რომლის თანახმადაც მტრის შეტევის შემთხვევაში ერთიმეორეს უნდა მიშველებოდნენ. ბრძოლის დროს ფრანგების მარჯვენა ფრთაზედ გამოდის პრუსების ლაშქარი. ნაპოლეონს შეუძლია ბრძოლის შეწყვეტა და დახვეა. იგი არ ჰკარავს ინგლისელების დამარცხების იმედს; პრუსების წინააღმდეგ გზავნის ერთს კორპუსს და განაგრძობს ბრძოლას ძველ გეგმის უსვლელად, ინგლისელებთან. უტევეს პირველად უშედეგოდ. მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვიტა პოზიციების შესწორება ინგლისელების წინ, აქ დროებით შეჩერება და პრუსების მოგვრეობა. ეს პოზიციების შესწორება მარშალ ნეიმ ახალ დიდ შეტევას აქცია, რომელმაც გაიტაცა უმეტესი ნაწილი ფრანგების მაშველისა. მოუმზადებელ შეტევამ მიზანს ვერ მიაღწია და ინგლისელები ვერ დაამარცხა, ხოლო მარჯვენაფრთაზედ, პრუსების მთელი ლაშქრის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთი კორპუსი და გვარდია იბრძოდა. მიუხედავად გვარდიის რაინდულ წინააღმდეგობისა, ფრანგები დამარცხდნენ და უკუგდებულ იქმნენ.

აი, ეს ორი მაგალითი შუაში მდგომ მტრის დამარცხებისა. ვხედავთ

აქ, რომ ნაპოლეონი თითონ, თავის სურვილით, დგება მოწინააღმდეგეების შუა, მათი სათითაოდ დასამარცხებლად. ეს ის ხერხია, რომლითაც თავზარს სცემდა ევროპას და ამდენი ხანი მის საწინააღმდეგოდ ვერავითარი რადიკალური რეპეტი ვერ იბოვა ევროპის სარდლობამ. ლაიპციგთან ბრძოლის დროს, როდესაც მოწინააღმდეგე რამდენჯერმე აღემატებოდა რიცხვით ნაპოლეონის ლაშქარს და თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობიდან (იდგნენ თითქმის ყოველ მხრიდან) შექმნილ საუცხოვე პირობების მიუხედავად, ვერ მოახერხეს ნაპოლეონის ჯარის მოსპობა, თუმცა ეს სრულიად შესაძლებელი იყო. ნაპოლეონს შეეძლო ბრძოლის შეწყვეტა და წასვლა, როცა კი სურდა. ესევე ვატერლოოს ბრძოლაში, აქაც ვხედავთ, მხოლოდ ხშირად ნაცემ სხოველის ინსტიქტს: მეორესთან გაქცევა და ამით დროს გადიდება. არავითარ მდგომარეობის გამოყენებაზე და მტრის სრულ მოსპობის იმედზედ ლაპარაკი არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ორთავე შემთხვევაში მოკავშირეებს აქვთ ამისათვის ყოველივე პირობები,

დავით აღმაშენებელმა საუხოვეოდ იძის შუაში დგომის უპირატესობანი, ვინაიდან უაღრესად იყინებს ამ ხერხს წინა კომპანიაში. მაგრამ თუ მტერი მის ნაწილებს შუა მოჰყვამ, ეს მისთვის არავითარ ტრადედიას არ წარმოადგენს. პირიქით. თითონ განზრახ უტოვებს მტერს ამ მდგომარეობას, რომ შემდეგ სრულიად მოსპოს იგი და გაანადგუროს. ეს უკვე გამზადებული ხერხია, რომელთანაც არ შეიძლება ზემოდ მოყვანილ ბრძოლების შედარება და რადიკალური ხერხი შუაში მდგომ მტრის მოსრესისა. ევროპის სარდლობის ისტორიას, არა აქვს ამის მაგალითი. იგი შუა სადგომის გამოყენების ზევით ჯერაც არ აწეულა.

(შემდეგი იქნება)

ვ. ნა—ლი.

## ტაქტიკური ამოცანები

ახლო მამავალში შეუდგები ტაქტიკურ ამოცანათა მოთავსებას. შესაძლებელია, ამ დარგმა საერთო ინტერესი გამოიწვიოს; განვმარტავ თუ რას წარმოადგენენ ტაქტიკური ამოცანები და რა არის საჭირო მათ ასახსნელად.

ტაქტიკურ ამოცანის ახსნას ვუწოდებთ: ამა თუ იმ უფროსის ბრძოლის პირობებში ჩაყენებას და მოთხოვნას აწონ-დაწონოს მდგომარეობა, მიიღოს გადაწყვეტილება და თავისი ერთეულის საშვალეობით მოიყვანოს იგი სისრულეში.

ამ გვარ მეცადინეობებს დიდი ადგილი აქვთ დათმობილი მშვიდობიანობის დროს. აქ აჩვენენ მომავალ უფროსს, რომ წინასწარ მიღებული სამხედრო ცოდნა გამოიყენოს სხვა და სხვა პირობებში, ერთის მხრივ გაიღრმავოს ეს ცოდნა და, მეორეს მხრივ, მიეჩვიოს სწრაფ აზროვნებას; ვინაიდან ომში გონება-მოქანსული ვერ მივა საღ აზრამდი და გადაწყვეტილებამდი და ვერც აპყვება მდგომარეობათა ცვალებადობის სიჩქარეს.

ჯარის ორგანიზაციის და სამხედრო ხელოვნების დედა აზრთა უცოდინართათვის, ტაქტიკურ ამოცანების ახსნას მნიშვნელობა არა აქვს და სარგებლობას ვერ მოუტანს.

არც ის ითქმის, რომ ტაქტიკურ ამოცანების ყველაზედ უკეთესად ამხსნელი, ომშიც საუკეთესო უფროსი იყოს; იქ მრავალი სხვა და სხვა პირობები იხლართებიან და ადგილის ცვალებადობას და გადაჯგუფებასაც წშირად შეხვდებით.

მარშალი ფოში ამბობს: „ბრძოლაში ფაქტს უპირატესობა აქვს იდეასთან, მოქმედებას—სიტყვასთან, ასრულებას—თეორიასთან“.

ან დრაგომიროვი „სამხედრო ხელოვნების დედა აზრები გასაგებია საშუალო ინტელიგენტი კაცისთვისაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქმის მათი გამოყენებაც შესძლოს“.

ტაქტიკური ამოცანის ახსნა ორ ძირითად მუხლს დასტრიალებს.

პირველი და უმთავრესია გადაწყვეტილების გამოტანა; მეორე—ამ გადაწყვეტილების ბრძანების სახით გამოთქმა.

თუ ადგილი აქვს ტაქტიკურ ამოცანის გათამაშებას, გვეჭირია მესამეც: ბრძანების შევსება, ყოველ გაუთვალისწინებელ და ახალი მდგომარეობის გამო.

შევსება მუდამ განირჩევა შესვლისაგან. ეს უკანასკნელი სამხედრო მოქმედებებში დაუშვებელია. იწვევს არეგ-დარეგვას, ბადებს უნდობლობას უფროსისადმი და მაჩვენებელია მთელი მისი წინასწარი აზროვნების სიყალბისა.

ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილების შესრულებისას, ყოყმანი და უკან დახევა დაუშვებელია, პირიქით, საჭიროა სიკერპე და ჯიუტობა სიძნელეთა გადასალახავად. სამხედრო პირი, რომელსაც ეს აქსიომა არ შეუთვისებია, არ არის მხედარი. ის ვერ მიხვდება, რომ დავალება რომელიც უფროსმა მიანდო, ამ უკანასკნელისთვის—უდრეკია, და მისი შეუსრულებლობა ან უგულოდ შესრულება ლალატად ჩაეთვლება, რომელსაც სამხედრო სასამართლოები გამოარკვევენ.

რაკი ბრძანების ასრულებას ასეთი მნიშვნელობა აქვს და ბრძანებაკი არის ტაქტიკური ამოცანის ახსნის ანუ გადაწყვეტილების გამოტანის შედეგი, უნდა დაწვრილებით განვმარტოთ რა არის ერთიც და მეორეც.

გადაწყვეტილების გამოტანა ოთხი პირობის განხილვისგან გამომდინარეობს:

- 1) ცნობები მტერზე (რა გვარისაა, სად არის, რას აკეთებდა, რა სურს);
- 2) ცნობები საკუთარ ჯარზე (სადა ვართ ჩვენ, სად მეზობლები, რას ვაკეთებდით);
- 3) დავალება (რას გააკეთებს ჩვენზე მალალი და ჩვენი ერთეული);
- 4) სად ვიმოქმედებთ (ნიადაგის თვისებებთ).

გავარჩიოთ ეს პირობები იმ რიგად, როგორადაც ეს ხდება ტაქტიკური ამოცანის შესრულების დროს.

ბრძანების მიმღები, უპირველეს ყოვლისა, შლას რუქას, შემდეგ აღნიშნავს რუქაზე საკუთარ ჯარის და მტრის მდგომარეობას; არკვევს რა მდგომარეობაში არიან ერთი მეორესთან; სად არის თვით და სად მეზობლები; რა დავალება მიიღო ჩვენზე, მალალმა ერთეულმა; რა განზრახვა აქვს უფროსს; რა დაგვაჯალა ჩვენ; რა წინააღმდეგობას გამიწევს მტერი და რა ზომები დამპირდება მის საწინააღმდეგოდ.

პასუხის მისაცემად უნდა დაფიქრდეს უკანასკნელ და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე: რა ნიადაგზე უხდება მოქმედება; როგორ გამოიყენოს მისი თვისებები თავის სასარგებლოდ; სად რას დაახვედრებს მტერი და რას დაუპირდაპირებს თვითონ.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მოფიქრების შემდეგ, მივა ამოცანის ახსნამდის და გადაწყვეტილების მიღებამდე.

დახელოვნებული უფროსისთვის, აწერილი აზროვნების პროცესი, იმდენად სწრაფია, რომ არც კი ხსანს. მისთვის, ბრძანების მიღება და საკუთარის გასება ერთ ინსტიქტად გადაქცეულა.

სწრაფ აზროვნებას და ბრძანებლობას მით მეტი ადგილი აქვს რაც უფროსი დაბალია ე. ი. პატარა ერთეულს განაგებს. აქ მდგომარეობანი ისე სწრაფად იცვლებიან, რომ დაფიქრება და საქმე ერთია. მალალ უფროსთ, მუდამ მეტი დრო ექნებათ მშვიდათ მოფიქრებისა.

აღნიშნულ მუხლთაგან არ შეიძლება რომელიმეს უპირატესობა მიეცეს. ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანი და ანგარიშ გასაწევია.

1) საკუთარ ძალთა მდგომარეობის ცოდნა ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების გამოტანაზე. სულ სხვა მხრივ წარემართება ჩემი ლოლიკა როდესაც ვიცი, ერთი ასეული მყავს და ისიც დალლილი და წინა ბრძოლაში დაზარალებული, ან იგივე ასეული, მაგრამ დასვენებული და სრულ რიცხოვანი. სულ სხვანაირად მოვიხმარ პირველ და მეორე შემთხვევაში. არც ის არის ჩემთვის სულ ერთი თუ რა მანძილზე ვარ მტრისგან დაშორებული, ან მდგომარეობის რა შეფარდებაა ჩვენს შორის.

2) თუ რა მტერთან ვმოქმედობ, სად იმყოფება ან რას გააკეთებს, ესეც მეტად მნიშვნელოვანია; სხვანაირად ვებრძვი ცხენოსანს, სხვანაირად ქვეითა ჯარს, სხვანაირად თუ ის მოგერიებაშია ან უკან დახევვაში და სხვანაირად, როდესაც მასზე არაფერი ვიცი. რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს მისი მდგომარეობა, იმდენად სხვა და სხვანაირი იქნება ჩემი გადაწყვეტილებაც.

3) დავალება მაღალი უფროსისა ჩემთვის ფიქრთა ჩანასახის წერტილია; მთელი აზროვნება მას ებმის და მისი ბრძანების და სურვილის ანგარიშ-გაუწყველობა—დაუშვებელია.

არამც თუ ამ შემთხვევაშია მისი მიზანი სავალდებულო, არამედ თუ ბრძოლის დროს რაიმე მიზეზის გამო: ბრძანება ვერ მივიღეთ და მდგომარეობა კი მოქმედებას მოითხოვს, თვით უნდა განვსუბრიტო, რას აწამდა უფროსი აქ რომ ყოფილიყო და ისე უნდა ვიმოქმედო.

მთლად უსაქმობა, ამ შემთხვევაში, მეტ პასუხისგებას იწვევს, ვიდრე ცოტად ყალბი მოქმედება; მაგრამ, ორივე აგვცდება თუ ჩვენი ლოლიკა მიზნის გარშემო შესაფერისად ავამუშავეთ.

თუ უფროსი მაძლევს ბრძანებას, ეს ნიშნავს, რომ მომქედებათა ჯამში მეც რაღაც როლი დამეკისრა და მისი ასრულება აუცილებელია; თუ არაფელი მოვიმოქმედე, მაშინ ჩემი მოქმედების სიბრტყეში სიძარვილეა და ამგვარად რომ რამოდენიმე ერთეულის უფროსები მოიქცენ, მაშინ საერთო შედეგი არამც თუ არაფელია—უარყოფითია.

4) ბოლოს, ნიადაგის თვისებას ვერც ერთი მებრძოლი ერთეულის უფროსი მხარს ვერ აუქცევს. მას უნდა შეუფარდოს შეტყვის თუ მოგერიების წყობილება, მის განკარგულებაში მყოფ იარაღის ტეცხლთა თვისებანი, სიფრთხილის ზომანი, ძალთა დაჯგუფებანი. ნიადაგი ხან აადვილებს, ხან აძნელებს მოქმედებას. ხშირად გვადლევს მტრის მოქმედების და წყობილების სურათს.

ნიადაგის გასწავლა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოვიდგინოთ იგი როგორც სინამდვილეშია და ისიც ჩვენ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ე. ი. ერთად ვფიქრობ: რა დავალება რა პირობებში მაქვს და სად ვასრულებ. დასკვნა მიგვიყვანს გადაწყვეტილებამდე.

გადაწყვეტილების გამოტანის წუთიდან ტაქტიკური ამოცანა ახსნილად უნდა ჩაითვალოს. დაგვრჩა, ესლა მისი გამოხატვა ბრძანების სახით.

საჭიროა განვმარტოთ თუ რა არის საერთოდ ბრძანება და რა სახეები ვიცი მისი.

ბრძანება შეიძლება იყოს საოპერაციო ანუ ველზე მოქმე აების და ყოველ-დღიური ანუ შინაგან ცხოვრების მომწესრიგებელი.

ბრძანებლობის უფლება თავის ხელქვეითისადმი, აქვს ისეთს უფროსს, რომელიც ორგანიზაციული დებულებით თუ მაღალი უფროსის ბრძანებით, განაგებს, აწესრიგებს და პასუხს აგებს ხელქვეითთა ქცევასა და მოქმედებაზე.

უფროსს შეუძლია აგრეთვე უბრძანოს არა ხელქვეით უმცროსს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1) როდესაც საჭიროა უმცროსთა მიერ საზოგადო წესიერების დარღვევის, უკადრის მოქცევის და მოვალეობათა შეუსრულებლობის აცილება;

2) თუ შემთხვევით ერთად მონაწილეობს რამოდენიმე ერთეული და საჭიროა საერთო ხელმძღვანელობა;

3) როდესაც ჯარის კაცთ ან ნაწილს რაიმე საფრთხე მოელის და ნაწილის უფროსი არსად სჩანს. ამ შემთხვევებში ბრძანების შესრულება სავალდებულოა, ზუსტად მიცებულ დროში ისე, როგორც სწადდა უფროსს.

თითქმის ყველა სახელმწიფოების სამხედრო წესდებებში შეზღუდვით შემდეგ მუხლებს:

— ველზე უფროსს ოფიცერს უფლება აქვს ადგილობრივ დასაჯოს. სიკვდილით და უბრძანოს სხვას ან თვით მოიყვანოს იგი სისრულეში იმ შემთხვევაში, თუ ხელქვეითი:

- 1) საქმით, სიტყვით ან ქცევით იჩენს ლაჩრობას;
- 2) სტოვებს იარაღს და ტყვია-წამალს;
- 3) გამოიჩენს ურჩობას (არ შეასრულებს ბრძანებას);
- 4) დასტოვებს თავის ნებით ადგილს;
- 5) აწარმოებს ცარცვა-გლეჯას.

აქედან ვხედავთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძანების შესრულებას საერთოდ და განსაკუთრებით ბრძოლის ველზე. ბრძანება სალაპარაკო ენაა უფროსს და ხელქვეითს შორის, სამსახურის დროს. სხვა ურთიერთობა მათ შორის არ არსებობს. პირველი ბრძანებს, მეორე ასრულებს და ამნაირად ორივენი ერთ მიზანს ემსახურებიან.

საოპერაციო ბრძანება უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და ზუსტი. გამოხატავდეს საერთო მიზანს და ყველა შემსრულებლის როლს. ბრძანება უნდა იყოს გარკვეულად დაწერილი და ორჭოფულ კილოს მოკლებული. საველე წესდებები დაწვრილებით იძლევიან მის ფორმას. იქ მრავალი მუხლებია ჩამოთვლილი. უფრო ხშირად კი, გვხვდება შემდეგი მუხლები:

- 1) მდგომარეობა ჩვენი და მტრის;
- 2) დავლება ჩვენზე მაღალს და ჩვენს ერთეულს;
- 3) უფროსის გადაწყვეტილება (განზრახვა);

4) შესრულება;

5) უფროსის ადგილი და კავშირი;

6) სხვა და სხვა.

განმარტოთ სალკე ეს მუხლები.

1) მდგომარეობა.

აქ გარკვევით მოცემულია ცნობები ჩვენს ერთეულზე, მეზობლებზე და მტერზე. უამისოდ ხელქვეითი ვერ მიხვდებოდა საერთო მოქმედების აზრს, და დავალების მიზანს. არ ეპოლინებოდა სად არის და რას აკეთებს მტერი.

ცნობები იმ ზომითაა აქ მოყვანილი, რამდენათაც საჭიროა ისოდეს ამსრულებელმა, არც მეტი არც ნაკლები.

2) დავალება ჩვენზე მაღალს და ჩვენს ერთეულს.

აგებინებს ხელქვეითს რატომ და რა მიზნით ლებულობს ამა თუ იმ დავალებას. რომ ისოდეს რა გააკეთოს ეს და შესძლოს მისი შესრულება. ეს მუხლი სიტყვა სიტყვით განმეორებდა მაღალი უფროსის ბრძანების, ან მოკლედ მისი აზრია მოყვანილი რამდენათაც შემსრულებელთ ეხებათ.

3) უფროსის განზრახვა (გადაწყვეტილება)

საიდან გამომდინარეობს და რას წარმოადგენს ის, ამის შესახებ ხე-ვით დაწვრილებით იყო ნათქვამი. საპერასიო ბრძანების ეს მუხლიც უადვილებს ხელქვეითს მიხვდეს საერთო მიზანი და თვით მას რატომ ეძლევა ესა თუ ის დავალება.

გარდა ამისა თუ შემთხვევებით ბრძოლის პირობები შეიცვლებიან, მაინც მოახერხოს რომ იმოქმედოს მიზანშეწონილად და თავისი მოქმედებანი შეუფარდოს უფროსის განზრახვას. ეს მით სავალდებულო და მნიშვნელოვანია დღეს, ვინაიდან ბრძოლის პირობები მეტად გართულებულია და ძნელია ყველაფრის გათვალისწინება და ბრძანებაში გამოხატვა.

4) ასრულება.

აქ უფროსი თავისი მიზნის მიხედვით, ყველა ხელქვეითთ და დამხმარე ერთეულებს აძლევს მკაფიო დავალებებს. აღნიშნავს თუ ვინ, როდის, სად რა უნდა გააკეთოს და რა მასალით. თვით შესრულების წვრილმანებში არ ერევა და ხელქვეითს მოქმედების თავისუფლებას არ ართმევს (გამონაკლისს შეადგენს მოგერიება, სადაც მისი ბრძანება წვრილმანობამდე მიდის).

ამ მუხ ღში არც ერთი ხელქვეითი ერთეულის დავიწყება არ შეიძლება.

5) კავშირი და უფროსის ადგილი.

აღნიშნავს უფროსების ყოფნის ადგილს და ტაქტიკურ კავშირის შენარჩუნების ზომებს.

6) მუხლი სხვა და სხვა-ში

მოყვანილია ყველა ცნობები მოგერიებაზე, საპაერო და ტანკების



საწინააღმდეგო ზომებზე.

საოპერაციო ბრძანების აქ მოცემული სქემა ნიმუშია, რომელიც ზოგჯერ მთლიანად შევსდება ბრძანებაში, ზოგჯერ ნაწილობრივ, ხშირად ახალბედა დამატება.

ეს დამოკიდებულია ყოველ კერძო შემთხვევაზე, და უფროსის სურვილზე; ამ მხრივ ის შეზღუდული არ არის. მხოლოდ, რიგი აქ ჩაჩვენებ მუხლებისა, სავალდებულოა. ბრძანება უნდა იყოს სრული, ნათელი, დაკონკრეტებული და მოკლე. სხვანაირი ბრძანების გაცემის შედეგი, მისი აუცილებელი შესრულება იქნება.

იამან.

## არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში

### 1. შესავალი

ერთ-ერთი უმთავრესი გარდამწყვეტი საშვალეა თანამედროვე ბრძოლაში, არის სეცხლის ძალა, მისი სიძლიერე. ყველა სხვა ტექნიკური საშვალეების განვითარებისას, სეცხლის ძალას თანდათანობით მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან, მხოლოდ სეცხლის საშვალეებით (ე. ი. სასროლ იარაღის ძალით) გვეძლევა საშვალეა მოვსპოთ და გავანადგუროთ ყოველგვარი ტექნიკური საშვალეები და თანაც ყოველი ამგვარი საშვალეა აღწევს თავის მიზანს და ასრულებს თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სათანადოდ გაძლიერებული იქნება სეცხლის ძალით. თანამედროვე ბრძოლაში, როგორც ამას დიდი ომის მაგალიტებიდან ვხედავთ, შეიძლება ითქვას, ჯარისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება. რომელიც შესძლებს მის წინსვლის შეჩერება, გარდა სეცხლისა, მისი განმანადგურებელი ძალისა. ყოველგვარი დაბრკოლება ან ფერხი, ხელოვნური თუ ბუნებრივი, მხოლოდ მაშინ ხდება დაბრკოლებათ, როდესაც ის გაძლიერებული იქნება სეცხლის ძალით ე. ი. დაბრკოლებას მხოლოდ შეუძლია შეაჩეროს მტერი პატარა ხნით და აი სწორეთ ეს წუთი უნდა იქნეს გამოყენებული ისე რომ, იქ შეჯგუფებული მტერი მოექცეს ყოველ შესაძლო სეცხლის ძალის ქვეშ გასანადგურებლად. მხოლოდ ამ რიგად მოწყობილი დაბრკოლება აღწევს მიზანს და ასრულებს თავის დანიშნულებას, რაშიაც, როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სეცხლის ძალას.

შეტევითი მოქმედებისას, რომ შევძლოთ მოპირდაპირის ძლევა, უნდა შეტეხილ იქმნას ჩვენი სეცსლის ძალის წარმატებით მასი მატერიალური და მორალური ძალები, რათა მოსპობილ ექმნას მას შეძლება მოგერიებითი საშვალეების გამოყენებისა. იმ შემთხვევაში თუ კი მოპირდაპირე ბატონობს თავის ნაყოფიან სეცსლით შეტევითი მოქმედების მიდამოზე, ჩვენი მოქმედება განწირულად უნდა ჩაითვალოს და ამ შემთხვევაში მიზნის მიღწევა ფრიად საძნელო ხდება.

მოგერიებისას კი ჩვენი მისწრაფება უნდა მიილტვოდეს მოპირდაპირის სეცსლის ძალის საშვალეების ძლევისაკენ, საკუთარი სეცსლით და მისი თავისუფლად და ნაყოფიანად მოხმარების შეძლებისაკენ, საჭირო ადგილას და ქამს.

არტილერია არის იმგვარი დარგი ჯარისა, რომელიც თავის იარაღის შემძლეობით ე. ი. შორმსროლობით და ჭურვების მოქმედების ძალის სიძლიერით, იძლევა საშვალეებს, სხვა იარაღზე მეტად, სათანადო სეცსლის სიძლიერის კანონრსიკელებისა ბრძოლის ველზე. სეცსლის უდიდეს ნაყოფიანობას მივალწევთ მხოლოდ არტილერიის მასიურ მოხმარებით. აქედან შედეგი:

1) აუსილებელია შევკრიფოთ და სათანადოთ მოვათავსოთ პოზიციებზე, საჭირო ადგილზე ბრძოლის ველის მიდამოსი, აუსილებელი რისხვი ქვემეხებისა, — მოთხოვნილება ეს აყენებს პირობას იარაღის მოძრაობის სიადვილესი;

2) შემდეგ, შევაჯგუფოთ საჭირო მიზანზე უძლიერესი სეცსლი, — მოითხოვს ეს სეცსლის სიმოდრავეს და მის ნგრევა განადგურებითი ძალის სიძლიერესი.

ყველა აქედან დასკვნა: რომ სეცსლის საშვალეებით მივალწიოთ სასურველ შედეგს, აუსილებელია ვიქონიოთ მუდამ საჭირო რისხვი ქვემეხებისა, ე. ი. არტილერია გვყავდეს ძლიერი. მეორე რომ: ეს რისხვი ქვემეხებისა იყოს გამოყენებული — უნდა ვიქონიოთ აუსილებელი თადარიგი ჭურვებისა.

მხოლოდ ეს მოთხოვნილება სდგას უდიდეს დამოკიდებულებაში თვით სახელმწიფოს ქონებრივ შეძლებულებასთან არტილერია ითვლება ერთ უძვირეს დარგათ ჯარისა; ვინაიდან მეტის-მეტ ძვირ საგანს წარმოადგენს, როგორც მისი იარაღი ე. ი. ქვემეხები, ვგრევე თვით ჭურვები. ამიტომ სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ამას, ზაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს აუსილებელი მინიმუმი, რომელსაც ჩვენ ვერ ავიტუნთ, და ეს დამოკიდებულია თვით ჩვენი მტრების სოცხალი ძალების რისხვიდან და მათი შეძლება-შეიარალებიდან.

ჩვენი ქვეყანა, თავის მდებარეობის მხრივ, იმგვარ პირობებში იმყოფება, რომ მტრები რომელნიც ჩვენს ირგვლივ არიან და იქნებიან, რისხობრივად მუდამ ჩვენზე მეტი იქნება. ამიტომ თუნდაც ტენიკურ საშვალეებითაც რომ შედარებით ჩვენ მაგვარად იყვეს შეიარაღებული, ის

ჩვენზე მაინც ძლიერი იქნება, ვინაიდან სოცხალი ძალა მუდამ ჩვენზე მეტი ეყოლება და მაშასადამე ჯარის ერთეულებიც. და თუ მისი ჯარის ორგანიზაციის ფორმა ჩვენსას უდრის—ამით თვით ტენიკური საშვალელებიც ჩვენზე გაცილებით მეტი ექნება. ამიტომ წვენ მისწრაფებად მუდამ ის უნდა იყვეს, რომ რაც შეიძლება მეტი ვიქონიოთ ყოველგვარი ტენიკური საშვალელები მეტადრე ცეცხლისა, როგორც არტილერია და ტყვიამფრქვევები, რათა ამით შევსძლოთ გაძლიერება ჩვენი ჯარისა, რომლის სოცხალი ძალები მუდამ მსირიდი იქნება, ეს ჩვენი ერის პატარაობის გამო. სწორედ ამ ტენიკურ საშვალელების გაძლიერებით ჩვენ შევსძლებთ გაუთანასწორდეთ და ვსძლიოთ ჩვენ მტერსა ძალებს, მეტადრე რომ ჩვენ ხალხს აქვს სათანადო მისწრაფება და ნდობა ყოველ ამგვარ ტენიკურ საშვალელებსადმი; მუდამ შეგნებულად და ხალისით მას ეტანება და რისი შეთვისება-მომხარება მას უადვილდება, რაიც დიდ დადებითი თვისებათ უნდა ჩაითვალოს იმ მხრივადაც, რომ დიდი შრომა და ჯაფა არ დაგვირდება ამ გვარ ჯარის დარგებში მეტბოლოთა გაწვრთნა-მომზადებაში.

გარდა ამისა უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ჯარების უფროსების სათანადოთ დახელოვნებას არტილერიის და სხვა გვარ ცეცხლის საშვალელების გაწვრთნა-გამოყენებაში და მათდამი დავალებათა მინიჭებაში, და თვით არტილერიის უფროსებისა კი მეტის-მეტი დახელოვნება ცეცხლის წარმოებაში მის შეგნებულად მომხარებაში; რათა ერთი ჭურვიც კი არ იყოს უაზროდ და მიზანშეუწონელად გასროლილი. ამიტომ მუდამ სათანადოთ უნდა იყვეს გამოყენებული არტილერიის იარაღის მნიშვნელოვანი თვისება—მისი სიმძრავე, რომელიც იძლევა საშკალებას მოძრავობითი მანევრის წარმოებისა, როგორც სტრატეგიულის ეგრევე ტაქტიკურის.

სტრატეგიული მანევრი გამოიხატება არტილერიის ერთეულების გადაყვანა-გადმოყვანაში, საომარ მოქმედების ასპარეზის ერთ ადგილიდან მეორეზე, თუნდაც ფრიად დაშორებულზე, და მის შეჯგუფებაში საჭირო ადგილას, ამ საშვალეების გამოყენებისას სარდალს შეძლება ეძლევა მოკლე ხნის განმავლობაში რამოდენიმე რიგ-რიგობითი ბრძოლების წარმოებისა.

ტაქტიკური მანევრი გამოიხატება არტილერიის გადაწევა-გადმოწევაში, ბრძოლის ველის ერთ განსაზღვრულ პუნქტიდან მეორეზე და მათ შეჯგუფებაში ამ ერთ-ერთ პუნქტზე. ამ საშვალეების გამოყენებისას უფროსი აღწევს შეძლებას, იქონიოს ხელთ უდიდესი შესაძლო ძალა თავის არტილერიისა, ბრძოლის ველის სათანადო პუნქტზე.

თვით ტენიკის დიდი მიღწევების საშვალეებით ქვემეხების და ჭურვების დამზადებაში, თანამედროვე არტილერია აღსანიშნავია დიდი სიმძრავით ცეცხლისა და ამ ცეცხლის ძალით საკმარისი შორმსროლობა და სრლის წარმოების შეძლება ფართე ფრანტზე, იძლევა მძლავრ მოქმედების საშვალეებს ბრძოლის ველის სხვადასხვა ადგილას პოზიციების

გამოუცვლელად. ამ თვისებიდან გამომდინარეობს შეძლება სეცხლის მანევრის წარმოებისა.

ყველა აქ ჩამოთვლილ თვისებების და მიხედვით, თანამედროვე არტილერიას შეძლება აქვს აწარმოოს ყოველნაირი სეცხლი და ამით შეასრულოს ყოველგვარი დავალება.

შედეგი არტილერიის სეცხლის მოქმედებისა, არის როგორც მატერიალური ისე მორალური. მატერიალურ შედეგს ვალწევთ მოპირდაპირის სოცხალი ძალების და მისი საბრძოლო საშვალეების განადგურებით; არის ეს უმთავრესი დანიშნულება არტილერიისა.

მორალურ შედეგს ე. ი. მოპირდაპირის სულიერ ძალების დასემას, ვალწევთ მოპირდაპირის სოცხალ ძალებზე სეცხლის მასიურ შეჯგუფებით. სეცხლი გაფანტული ფართე სივრცეზე, აწუხებს მოპირდაპირეს, მაგრამ ვერ შესძლებს მის დაზარალებას. ამიტომ უნდა ვეცადოთ ვიყოლიოთ მტერი მუდამ საშიშროების ქვეშ, რის გამოწვევას შევსძლებთ სეცხლის ხანმოკლე და ძლიერი შეჯგუფებით და ყოველგვარ ყალიბის ჭურვების სწრაფ და ნაყოფიერ ვარდნით. ეს იქნება საუკეთესო ხერხი მოპირდაპირის ნერვიულობის გამოსაწვევად, მისი აღლვებისა და ბოლოს სრულებით დასასუსტებლად, მისი სულიერ ძალებისა. ამიტომ მუდმივ მისწრაფებად ყოველ უფროსისა, რომელიც განაგებს სხვა და სხვა გვარ დარგების ჯართა თანამშრომლობით ბრძოლაში, უნდა იყვეს ზრუნვა არტილერიის იარაღის სათანადო გამოყენება, ხერხიანად და საჭირო დროზე მოხმარება ყოველგვარ მანევრის და თვისების, რომელიც აქვს არტილერიას.

(გაგრძელება იქნება)

ლ. მ.

## იუნკერის მოგონებები

ზაკ-ჩეკა. 18 და 19 მაისა.

დაზვრეტის ორი დღის წინ—18 და 19 მაისს, კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, მუსხელიშვილი და აგრეთვე დანარჩენი ტუსალები, გადმოიყვანეს ქვედა მიწურ სამწყვდევებიდან საერთო საკანში N 24, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი დერეფნის ერთს ხაზში. ამ დღეს ე. ი. 18 მაისს, ჩეკაში იყო განსაკუთრებული მოძრაობა და მზადება; კარების და დერეფნების ორ სათიანი დარაჯები გააორკეცეს; მოაზდინეს ტუსალების გადაჯგუფება; ჩვენი დერეფნის ცალფა სამწყვდევებიდან ჩემს გარდა, გადა-



იყვანეს სადღაც ყველა: გენ. ანდრონიკაშვილი, კაპ. ჩრდილელი, ადვო-  
ბეიჯანელი მუსავატელების ერთ-ერთი მეთაური—ალი (რომელიც ჭკუაზე  
შეირყა, გვარი არ მახსოვს) და პოლკ. მაჭავარიანი.

ჯერ კიდევ დახვრეტის წინა დღით, გამოიყვანეს განწირულები  
ენოში—ჰაერზე; მოძრაობაზე მივხდით, რომ ისინი გამოყავდათ; ვთხოვე  
კომენდანტს ნება დაერთო საჭიროებისთვის ფეხადგილში წასვლა, რომე-  
ლიც იყო სამწყვდევეების სულ ბოლოს, ეზოსთან; ნებართვის შემდეგ, მე-  
თვალყურეს და ერთი წითელ-არმიელის თანხლებით, დასუსტებული ნა-  
ბიჯით გავემართე დანიშნულ ადგილისკენ; თანაც ვიცქირებოდი ეზოსკენ;  
დერეფანთან შეჯგუფდულნი იდგნენ: კოტე აფხაზი, ვარდენ წულუკიძე, მუს-  
ხელიშვილი, სიმ. ბაგრატიონ-მუხრანი და სხვა ათ კაცამდე; იდგნენ უქამ-  
როდ-უქუდოდ და ყრუ დუმილით იხედებოდნენ ოთხივე კუთხეზე; მხოლოდ  
კოტე აფხაზი, მიმქრალი და თიხისფერი სახით, იდგა უკან ხელებ-შემო-  
წყობილი და შთამაგონებელი გამომეტყველებით ხმა-დაბლა ელაპარაკე-  
ბოდა ვარდენ წულუკიძეს. ჯგუფის ახლოს მიწაზე იჯდა ტფილისის არ-  
სენალის მუშა (რომელსაც ბრალად ედებოდა ქაქუსა ჩოლოყაშვილის  
მოძქმედ ჯგუფისთვის ბომბების მიწოდება), ჩაქუჩით ამტვრევდა აგუ-  
რებს, ნატეხებს აწყობდა სილაში და კენჭავდა გზას (ეს უპირატესობა მი-  
ნიჭებული ჰქონდა ჩეკაში მას, როგორც მუშას); ამასთანავე რამდენჯერ  
მაგრად დაარტყამდა ჩაქუჩს აგურზე, იმდენჯერ ზედ დაატანდა: „მაგრად  
იყავით! მაგრად! გაუმარჯოს სამშობლოს!“; თანაც მოწინააღმდეგებისკენ  
აკზავნიდა გინებას ავლაბრულ „სიტყვიერებიდან“, თავისი წესით. უკვე  
ჩარებული ვიყავი, როდესაც ფეხის ხმაურობას მიაქციეს ყურადღება; და-  
ბრუნებისას დასუსტებული ნაბიჯებით ნელა მოვიდოდი დერეფანში და  
ვიყურებოდი ჩვენებისკენ; ყველანი ისე მომჩერებოდნენ, თითქოს რაღაც  
უნდოდათ ეკითხათ; სევდიანად გაიღიმა კოტე აფხაზმა და შემომახვედრა  
გამამხნეველები თვალეები. მისი ტუჩები ჩურჩულით მოძრაობდნენ... ჩამა-  
ვალი მზის სხივით განათებული და სულის შინაგანი სიმტკიცით გასხივო-  
სნებული სახე, აძლევდა მას მოსიქულის შეხედულებას მოწაფეთა შორის.  
მთელი ჯგუფი რაღაც გაურკვეველ მოლედინში გაქვავებულიყო—ველარ  
ვიკავებდი მისუსტებული გრძნობებს და მინდოდა მივვარდნილიყავი მა-  
სთან; „ბოტონო კოტე! ბატონო!“ ნერვიულად წამოვიძახე; მაგრამ მე-  
თვალყურემ მკრა ხელი და დაიღრიალა „გაიარე, ჩქარა, ნუ ლაპარაკობ  
შენ...“ უკანასკნელად გადავხედე მათ აღელვებულ სახეებს, „ყოჩაღად  
იყავი შვილო!“ გადმომიგდო სიტყვა კოტე აფხაზმა.

## ცნობები

— მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ქართულ მხედრობას გამოაკლდა კიდევ ერთი წევრი. პოლონეთში დაიმსხვრა მფრინავი უფროსი ლეიტ. სევერიანე ჭყონია.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მომავლის იმედებით სავსე, გამოესალმა წუთისოფელს.

— ზაფხულის განმავლობაში პარიზში ჩამოვიდნენ ლეიტენანტები: გ. ოდიშელიძე, ალ. კინწურაშვილი და ვ. ვაჩნაძე. ამ ქამად სამივე დაუბრუნდეს თავიანთ მოვალეობათა აღსრულებას.

სარგებლობენ „მხედარი“-თ რათა გადასცენ ყველა მეგობარ-იუნკრებს გულითადი სალამი და გამხნელება.

— წელს საქართველოში გადახდილი იქნება ქართული წიგნის 300 წლის თავი.

— „მხედარი“-ს მე-2 N-თვის გამოგზავნილი მასალები მოთავსდება მორიგ მე-3 N-ში.




---

სარედაქციო კოლეგია.

ფასი 3 ფრანკი.

**Gérant : Zindy - Audincourt**